

რეკომენდაცია

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მაღალი სიზუსტის მექატრონული ტექნოლოგიების საუნივერსიტეტო სამეცნიერო კვლევითი ცენტრის უფროსის, სტუ-ს საპატიო დოქტორის, პოლკოვნიკ გოგი კვარაცხელიას მიერ ეგვიპტის პირამიდების მშენებლობის ტექნოლოგიასთან გამოთქმულ ჰიპოთეზაზე. ბატონმა გოგომ მოგვმართა და თავად მოგვიყვა კონკრეტულ გეომეტრიულ ამოცანასთან დაკავშირებით, თუ რაში მდგომარეობს მისი მთავარი მიგნება და რამდენად რეალისტურია სხვა უკვე არსებული მოსაზრებებისგან განსხვავებით. განხილვას ესწრებოდნენ სამშენებლო ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი ზურაბ გვიშიანი; დეკანის მოადგილე, პროფესორი იური ქადარია; პროფესორები: გუგა ჭოხონელიძე, ლია კახიანი, მარინა ჯავახიშვილი, გინა გურეშიძე.

პროფესორების აზრით, ბატონი გოგის მიერ შემუშავებულია მშენებლობის კონსტრუქციული და ტექნოლოგიური პრინციპი, რომელიც ყველაზე რეალურია და არ ეწინააღმდეგება აქამდე დაგროვილ და გაზიარებულ მოსაზრებებს, პირიქით, შესაბამისობაში მოდის საუკუნეების განმავლობაში არქეოლოგიური კვლევის შედეგად მოპოვებულ მასალებთან. იგი აპირებს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბაზაზე გააკეთოს ანიმაცია, რათა პრაქტიკულად უფრო თვალსაჩინო გახდეს რაზე საუბრობს და როგორ მუშაობს მექანიზმი. ასევე სურს, შექმნას მაკეტი. ყოველივე ამის შემდეგ, ნახაზთან ერთად, გეგმავს ამ ინფორმაციის ქვეყნის ფარგლებს გარეთაც გატანას.

მიგვაჩნია, რომ ბატონი გოგის მიერ წარმოდგენილი ჰიპოთეზა პირამიდების მშენებლობის ტექნოლოგიასთან დაკავშირებით რეალურია და იმსახურებს მეცნიერების მხრიდან მხარდაჭერას.

სამშენებლო ფაკულტეტის დეკანი,
პროფესორი ზურაბ გვიშიანი



დეკანის მოადგილე,
პროფესორი იური ქადარია



პროფესორები:
გუგა ჭოხონელიძე,



ლია კახიანი,



მარინა ჯავახიშვილი,



გინა გურეშიძე.